ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №10.32/10/77

ქ. თბილისი 11 ივლისი, 2019 წელი

ერთი მხრივ, **ქალაქ თბილისის საბურთალოს რაიონის გამგეობა** (შემდგომში – „შემსყიდველი“), წარმოდგენილი **გამგებლის გაიოზ ვასაძის** სახით და მეორე მხრივ, **შპს „გეგაპიქსელი“** (შემდგომში – „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი **დირექტორის მურმან ქვათაძის** სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია: ფოტოგრაფიული მოწყობილობების შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის „ა“ პუნქტის შესაბამისად (CPV 38650000 – ფოტოგრაფიული მოწყობილობები).

№	საქონლის დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება	მთლიანი ღირებულება
1	ფოტოაპარატი CANON EOS80D BODY	ცალი	1	2 850.00	2 850.00
2	ფოტოაპარატის ობიექტივი CANON 18-135 F 3,5/5,6 STM	ცალი	1	1 100.00	1 100.00
სულ:					3 950.00

2.ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.
2.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 3 950.00 (სამი ათას ცხრაას ორმოცდაათი) ლარს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანმდევი ხარჯების ჩათვლით.

3.შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და საგარანტიო ვადები

3.1 მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 (სამი) კალენდარული დღის ვადაში.
3.2 საქონლის მიწოდების ადგილი: ქ. თბილისის, მიცკევიჩის ქ. №29.
3.3 ზემოაღნიშნულ საქონელზე ვრცელდება 1 (ერთი) წლიანი საგარანტიო მომსახურების ვადა.
3.4 საგარანტიო ვადების პერიოდში მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს შესყიდვის ობიექტის შეცვლა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.

4.შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.
4.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე შემსყიდველის მხრიდან უფლებამოსილი პირია – გამგეობის თანამშრომელი.

5. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

5.1 მიწოდებული ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება, უნაღდო ანგარიშსწორებით.
5.2 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება, საქონლის მიწოდებისა და აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

6.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
6.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში შემსყიდველი მხარე იტოვებს უფლებას მიმწოდებელს დააკისროს პასუხისმგებლობა ყველა შესაძლო შედეგზე და

არ აუნაზღაუროს სახელშეკრულებლო თანხა.
6.3 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 1%-ის ოდენობით.

7. ხელშეკრულების შეწყვეტა

7.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.
7.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი.

8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

8.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება გაფორმებიდან 2019 წლის 15 აგვისტოს ჩათვლით.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
9.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

10. სხვა პირობები

10.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ერთი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
10.2 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

შემსყიდველი	მიმწოდებელი
საბურთალოს რაიონის გამგეობა	**შპს „გეგაპიქსელი“**
ს/კ: 205 303 820 მის: საქართველო, ქ. თბილისი, მიცკევიჩის №29	ს/კ: 404 973 640 მის: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ალ. ყაზბეგის გამზ. 24, სადარბაზო2, სართული9, ბინა 48 სს „საქართველოს ბანკი“ ბანკის კოდი: BAGAGE22 ა/ნ GE80BG0000000781857200
გამგებელი	შპს „გეგაპიქსელი“
გაიოზ ვასაძე	**მურმან ქვათაძე**

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი 11 ივლისი, 2019 წელი

მე, ქვემოთ ხელისმომწერი ვადასტურებ, რომ 2019 წლის 11 ივლისს გაფორმებული №10.32/10/77 ხელშეკრულების შესაბამისად აღნიშნულ შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებით ჩემი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 2005 წლის 20 აპრილის კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფები მიმწოდებელთან – შპს „გეგაპიქსელი".

საორგანიზაციო განყოფილების უფროსი ---------- გ. სვანიძე